საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №524

თბილისი „30“ 05 2018 წ

იმ პირებისათვის დამატებითი სკოლის გამოსაშვები გამოცდების დანიშვნის შესახებ, რომლებიც ობიექტური მიზეზით ვერ გამოცხადდნენ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე „2017-2018 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგის (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 03 მაისის N415 ბრძანებით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის N48/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების“ მე-11 მუხლის 4[1] პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 25 მაისის N623045 მოხსენებითი ბარათის და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 23 მაისის N610253 მომართვის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 18 და 19 ივნისს დაინიშნოს დამატებითი სკოლის გამოსაშვები გამოცდები იმ პირებისათვის, რომლებიც ობიექტური მიზეზით ვერ გამოცხადდნენ სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე „2017-2018 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგის (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 03 მაისის N415 ბრძანებით დამტკიცებული განრიგის შესაბამისად.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ლია გიგაური
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი